ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებ(ებ)ის / დამატებ(ებ)ის შეტანას:

ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტს დაემატოს 4.3.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.3.1 ბანკი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს კლიენტის მოთხოვნა სატარიფო ნაკრების გაუქმებასთან დაკავშირებით, თუ კლიენტი სრულად არ შეასრულებს/დაფარავს სატარიფო ნაკრებით, მათ შორის სატარიფო ნაკრების განაცხადით გათვალისწინებული პროდუქტ(ებ)ით/მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს/დავალიანებას.

ხელშეკრულების მე-5 მუხლს დაემატოს 5.1.11 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5.1.11. ბანკთან ურთიერთობისას იმოქმედოს თანამშრომელთა დისკრიმინაციის, ძალადობისა და შევიწროებისაგან დაცვის შესახებ ბანკის პოლიტიკის (https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/employee-protection-policy) წესების შესაბამისად.

შეიცვალოს ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.5.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7.5.4 კლიენტისათვის სხვადასხვა მომსახურების / პროდუქტების (მათ შორის სადაზღვევო, საშემფასებლო, აზომვითი პროდუქტების/მომსახურების) შეთავაზებისა და გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია (მათ შორის კლიენტის პერსონალური მონაცემები), გადასცეს სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ (ს/კ 205023856), სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგს“ (ს/კ 204426674) და/ან TBC Bank Group PLC (#10029943) ჯგუფის წევრ კომპანიებს, მათ შორის სს „თიბისი დაზღვევას” (ს/კ 405042804), შპს „თინეთს“ (ს/კ 402116474), შპს „მარჯანიშვილი 7-ს“ (ს/კ 402168998), ან/და შპს „თიბისი კაპიტალს“ (ს/კ 204929961), რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

ხელშეკრულების მე-7 მუხლს დაემატოს 7.10 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7.10. კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ გაცნობილია ბანკის ვებგვერდზე განთავსებულ თანამშრომელთა დისკრიმინაციის, ძალადობისა და შევიწროებისაგან დაცვის შესახებ ბანკის პოლიტიკას (https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/employee-protection-policy), ეთანხმება სრულად და აცნობიერებს ამ პოლიტიკის დარღვევისათვის წინამდებარე ხელშეკრულების მე-20 მუხლით გათვალისწინებულ შესაძლო სამართლებრივ შედეგებს.

ხელშეკრულების მე-15 მუხლს დაემატოს 15.26.5 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15.26.5. ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებით (ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტით) კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, განახორციელოს კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე არსებული შესაბამისი საკრედიტო პროდუქტის გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის ბლოკირება

(შეუზღუდოს კლიენტს ხსენებული თანხის გამოყენების უფლება), გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის დღის / რიცხვის ნებისმიერ მონაკვეთში.

<u>ხელშეკრულების მე-20 მუხლს დაემატოს 20.1.21 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

20.1.21. კლიენტი დაარღვევს თანამშრომელთა დისკრიმინაციის, ძალადობისა და შევიწროებისაგან დაცვის შესახებ ბანკის პოლიტიკას (https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/employee-protection-policy).